უსკო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
საარჩევნო ადმინისტრაცია

უსკო
2004-2019

შენი ხმა - შენი არჩევანია!

ბათუმი, გოგებაშვილის ქ. #2
ტელ.: + 995 422 27 21 84
ელ. - ფოსტა: info@sec.ge
www.usko.ge

უსკო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საარჩევნო კომისია

2004-2019 წწ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია უმაღლესი საარჩევნო კომისია (უსკო)

2004 წლის 22 მაისს მიღებულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“. ამავე წელს (2004 წ.) კანონის შესაბამისად ჩამოყალიბდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში თავისუფალია სხვა სახელმწიფო ორგანოების ზეგავლენისგან და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით – „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა კანონებით, კანონქვემდებარე აქტებითა და რეგლამენტით.

უმაღლესი საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებასა და გამართვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე, აკონტროლებს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას. უსკო ანგარიშვალდებულია უმაღლესი საბჭოს წინაშე, რომელსაც წარუდგენს ანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 60 დღის ვადაში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება:

ა) უსკოსა და მისი აპარატისგან;
ბ) საოლქო საარჩევნო კომისიებისგან;
გ) საუბნო საარჩევნო კომისიებისგან.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები არიან:

- უსკოს თავმჯდომარე;
- თავმჯდომარის მოადგილე;
- კომისიის მდივანი.

უსკო შედგება უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული თავმჯდომარისა და 5 წევრისგან, ხოლო საარჩევნო პერიოდში უფლებამოსილი პარტიების მიერ დანიშნული წევრებისაგან.

უსკოს თავმჯდომარე იმავდროულად არის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი. უსკოს თავმჯდომარესა და 5 წევრს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს უმაღლესი საბჭო, ხოლო უსკოს 7 წევრს საარჩევნო პერიოდში ნიშნავენ პოლიტიკური პარტიები.

არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით, იქმნება და ფუნქციონირებს უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატი, რომლის სტრუქტურა, საქმიანობის წესი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობითა და რეგლამენტით.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის სტრუქტურაში შექმნილია შემდეგი დეპარტამენტები:

- საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი;
- იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი;
- ინსტიტუციური განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები:

პარმენ ჯალაღონია
2016 წლიდან დღემდე.

არჩილ მიქელაძე
2006 -2016 წწ.

ირაკლი ფაღავა
2004 -2006 წწ.

უსკოს წევრები:
2004 წელი

1. ირაკლი ფაღავა – უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;

2. გუგული დუაძე – მოადგილე (დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს მიერ დანიშნული);

3. გიზო მჭედლიძე – მდივანი („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“);

4. სიმონ ჩხაიძე – წევრი (დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს მიერ დანიშნული);

5. ლევან ჩავლეიშვილი – წევრი („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“);

6. მამუკა წულუკიძე – წევრი („მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“);

7. ქეთევან ჯიქია – წევრი („მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“);

8. გულნარა ბზიკაძე – წევრი („ლეიბორისტული პარტია“);

9. სერგო დუმბაძე – წევრი („ლეიბორისტული პარტია“);

10. ზაზა ტუღუში – წევრი (უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული);

11. თეიმურაზ ძნელაძე – წევრი („რესპუბლიკური პარტია");

12. მამუკა ჯაში – წევრი („მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“).

2008 წელი

1. არჩილ მიქელაძე – თავმჯდომარე;
2. თამაზ შარმანაშვილი – მოადგილე;
3. ქეთევან ჯიქია – მდივანი;
4. გია გარსევანიშვილი – წევრი;
5. ასლან ჩავლეიშვილი – წევრი;
6. თამარა ხოზრევანიძე –წევრი.

პარტიების მიერ დანიშნული დროებითი წევრები:

7. ლევან გაბრიჩიძე – („ჩვენ თვითონ“);
8. ავთანდილ ჩახვაძე – („ქრისტიან -დემოკრატიული მოძრაობა“);
9. თენგიზ ცინცქილაძე – („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“);
10. ირაკლი გვარამია – („კონსერვატიული პარტია“);
11. მამუკა ჯაში – („მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“);
12. დავით რობაქიძე – („ლეიბორისტული პარტია“);
13. ანზორ ბაღათურია – („ქართული დასი“).

2012 წელი

1. არჩილ მიქელაძე – თავმჯდომარე;
2. გია გარსევანიშვილი – მოადგილე;
3. ქეთევან ჯიქია – მდივანი;
4. ასლან ჩავლეიშვილი – წევრი;
5. მალხაზ კალანდაძე – წევრი;
6. თამარა ხოზრევანიძე – წევრი.

პარტიების მიერ დანიშნული დროებითი წევრები:

7. ლევან გაბრიჩიძე – („საქართველოს ევროპელი დემოკრატები“);
8. ავთანდილ ჩახვაძე – („ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“);
9. რამაზ ბოლქვაძე – („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“);
10. დიმიტრი დარჩია – („კონსერვატიული პარტია“);
11. მამუკა ჯაში – („მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“);
12. ნანა დავითაძე – („ლეიბორისტული პარტია“);
13. ლილე ტეტემაძე – („ქრისტიან -კონსერვატიული პარტია“).

2016 წელი

1. პარმენ ჯალაღონია – თავმჯდომარე;
2. გუგული დუაძე – მოადგილე;
3. სოფიო კახაძე – მდივანი;
4. რამაზ გოლომანიძე – წევრი;
5. ზურაბ გოლიაძე – წევრი;
6. თორნიკე მჟავანაძე – წევრი.

2016 წლის არჩევნებისათვის პარტიების მიერ დანიშნული დროებითი წევრები

7. მაკა ლომაძე – („რესპუბლიკური პარტია“);
8. შორენა ჭაღალიძე – („თავისუფალი დემოკრატები“);
9. კახაბერ ჯაიანი – („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“);
10. ირაკლი გვარამია – („კონსერვატიული პარტია“);
11. მამუკა ჯაში – („მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“);
12. ფიქრია აფაქიძე – (ჩაანაცვლა) მამუკა კოპალეიშვილი („ქართული ოცნება“);
13. ნუგზარ ბაჯელიძე – („გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“).

სტატისტიკა

2004 წლიდან დღემდე რეგიონის საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 4 არჩევნები:

- 2004 წლის 20 ივნისის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები;
- 2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები;
- 2012 წლის 1 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები;
- 2016 წლის 8 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

2004 წლის 20 ივნისის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

- ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა –158 421
- არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა – 120 025
- ბათილ ბიულეტენთა რაოდენობა – 4 369

არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირდა 12 პოლიტიკური ორგანიზაცია. ამათგან სამი საარჩევნო სუბიექტი გაერთიანდა საარჩევნო ბლოკში – „ძლიერი აჭარა – ერთიანი საქართველოსთვის". პროპორციული სისტემით არჩევნებში მონაწილეობდა ცხრა საარჩევნო სუბიექტი, კერძოდ:

1. პ/გ „საქართველოს რესპუბლიკური პარტია", რომელიც არჩევნებში მონაწილეობდა სახელით „ბერძენიშვილი – რესპუბლიკელები";
2. პ/გ „საქართველოს ახალი კომუნისტური პარტია";
3. პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს";
4. პ/გ „საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია";
5. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", რომელიც არჩევნებში მონაწილეობდა სახელით „სააკაშვილი – გამარჯვებული აჭარა";
6. პ/გ „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია";
7. საარჩევნო ბლოკი „ძლიერი აჭარა – ერთიანი საქართველოსათვის", რომელშიც გაერთიანებულნი არიან:
   - „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია";
   - „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი";
   - „ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია";
8. პ/გ „მერაბ კოსტავას საზოგადოება";
9. პ/გ „დემოკრატიული სიმართლის პარტია".

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებზე რეგისტრირებული საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები:

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები:

1. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია";
2. „ახალგაზრდული კავშირი ინიციატივა";
3. „ახალგაზრდები ახალი საქართველოსთვის";
4. „ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია";
5. „საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანება";
6. „ახალგაზრდული საზოგადოება „თაობა";
7. „ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაცია";
8. „თავისუფლების ინსტიტუტი".

საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციები:

1. „IFES Limited"– დემოკრატია მოქმედებაში";
2. „OSCE/ODIHR"– ეუთოს შეზღუდული საარჩევნო სამეთვალყურეო მისია.
3. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება";
4. „საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველო";
5. „ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფალთა კონგრესი";
6. „IRI" – ა.შ.შ. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი;
7. „ბრიტანეთ-ჰელსინკის ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფი".

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში აირჩიეს უმაღლესი საბჭოს 18 წევრი პროპორციული სისტემით და 12 წევრი მაჟორიტარული სისტემით.

არჩევნებში მონაწილეთა 7%-იანი ბარიერი გადალახა ორმა საარჩევნო სუბიექტმა:

№	პარტიის (ბლოკის) დასახელება	მიღებული ხმების რაოდენობა	%	მიღებული მანდატების რაოდენობა
1.	„ბერძენიშვილი – რესპუბლიკელები“	16 216	13,51%	2
5.	„სააკაშვილი – გამარჯვებული აჭარა“	86 428	72,01%	16

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 18 მანდატი გადანაწილდა შემდეგნაირად:

16 მანდატი მოიპოვა პარტიამ „სააკაშვილი-გამარჯვებული აჭარა“ („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“);

პროპორციული სისტემით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებად არჩეული არიან :

1. ავალიანი ომარი
2. ზაქარაძე ლალი
3. ზამბახიძე პეტრე
4. კალანდაძე მალხაზი
5. მახარაძე მიხეილი
6. მიქელაძე კახაბერი
7. მიქელაძე ოთარი
8. სამნიძე ხათუნა
9. სიორიძე მალხაზი
10. სუქნიშვილი მირზა
11. სურგულაძე კახაბერი
12. ქათამაძე სოსო
13. ქიძინიძე მერაბი
14. ხაბაზი კობა
15. ხერხეულიძე ეკატერინე
16. ჩხეიძე ლეილა

2 მანდატი მიიღო პარტიამ „ბერძენიშვილი – რესპუბლიკელები“ („საქართველოს რესპუბლიკური პარტია“):

1. დუმბაძე მურმანი
2. მასალკინი გიორგი

მაჟორიტარული სისტემით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებად არჩეული თორმეტივე მაჟორიტარი კანდიდატი წარდგენილია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ:

1. ბათუმის № 79/1 საარჩევნო ოლქი – ბაციკაძე დავითი;
2. ბათუმის № 79/2 საარჩევნო ოლქი – მიქელაძე ნაზი;
3. ქობულეთის № 81/3 საარჩევნო ოლქი – ბეჟანიძე ავთანდილი;
4. ქობულეთის № 81/4 საარჩევნო ოლქი – კონცელიძე თემური;
5. ხელვაჩაურის № 83/5 საარჩევნო ოლქი – ბერიძე ნადიმი;
6. ხელვაჩაურის № 83/6 საარჩევნო ოლქი – თედორაძე ლეონი;
7. ქედის № 80/7 საარჩევნო ოლქი – მიქელაძე ზურაბი;
8. ქედის № 80/8 საარჩევნო ოლქი – მახარაძე მიხეილი;
9. შუახევის № 82/9 საარჩევნო ოლქი – ნიჟარაძე როინი;
10. შუახევის № 82/10 საარჩევნო ოლქი – ხიმშიაშვილი იოსები;
11. ხულოს № 84/11 საარჩევნო ოლქი – თავართქილაძე რაული;
12. ხულოს № 84/12 საარჩევნო ოლქი – გობაძე ბეჟანი.

2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 5 სექტემბრის № 578 განკარგულების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები დაინიშნა 2008 წლის 3 ნოემბერს.

არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირდა 6 პოლიტიკური ორგანიზაცია:

1. პ/გ „ქართული დასი";
2. პ/გ „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები";
3. პ/გ „ჩვენ თვითონ";
4. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა";
5. პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს";
6. პ/გ „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია".

2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია გაიარეს შემდეგმა საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა:

1. „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი";
2. ბრიტანეთის საელჩო საქართველოში;
3. „საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი";
4. საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია „IFES-საქართველო".
5. ევროსაბჭოს (Council of Europe) დამკვირვებლები;
6. ევროკავშირი (European Union) ;
7. ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესი (The Congress of Local and Regional Authorities) ;
8. ამერიკის საელჩო (Embassy of the United States of America);
9. ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტი;
10. ყაზახეთის რესპუბლიკის საელჩო;
11. პარლამენტის საერთაშორისო დამკვირვებლები;
12. კანადის საელჩო თურქეთის რესპუბლიკაში;
13. აზერბაიჯანის საელჩო საქართველოში;
14. უკრაინის საკონსულო ბათუმში;
15. ლიტვის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში;
16. სომხეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში;
17. პოლონეთის სეიმი (პარლამენტი);
18. ბულგარეთის რესპუბლიკის პარლამენტი;
19. ევროკავშირი (ევროპის კომისიის დელეგაცია საქართველოში);
20. აზერბაიჯანის მილის მეჯლისის წარმომადგენლები;
21. ყაზახეთის ცენტრალური საარჩევნო კომისია;
22. ლიტვის ცენტრალური საარჩევნო კომისია.

2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია გაიარეს შემდეგმა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა:

1. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია”;
2. „სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია”;
3. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება”;
4. „მიუსაფართა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია”;
5. „ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაცია”;
6. „ახალი თაობა – ახალი ინიციატივა”;
7. ფონდი „სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი”;
8. საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო";
9. „სამართლებრივი განვითარების საზოგადოება”.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 5 ნოემბრის N90 განკარგულების საფუძველზე ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის პროპორციული და მაჟორიტარული არჩევნების შედეგები N83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 8 ნოემბრის №104 განკარგულების საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისთვის № 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიებს ევალებათ № 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნებში 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 16 ნოემბრის განმეორებითი პროპორციული კენჭისყრის ჩატარება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრის შედეგები:

I. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა	293 217
II. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა	109 696
III. ბათილი საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა	2842

საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:

№	პარტიის (ბლოკის) დასახელება	მიღებული ხმების რაოდენობა	%	მანდატების რაოდენობა
1.	,,საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“	1 821	1.70%	
2.	,,ქართული დასი“	1 628	1.52%	
3.	,,მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“	1 584	1.48%	
4.	,,ჩვენ თვითონ“	3 018	2.82%	
5.	,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	81 095	75.89%	10
10.	,,გიორგი თარგამაძე – ქრისტიან- დემოკრატები“	17 569	16.44%	2

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებად პროპორციული სისტემით აირჩიეს:

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“:

1. მურმან ბერიძე
2. ვაჟა ბოლქვაძე
3. თემურ ბოლქვაძე
4. გელა დეკანაძე
5. ასმათ დიასამიძე
6. პეტრე ზამბახიძე
7. მიხეილ მახარაძე
8. რამაზ სურმანიძე
9. ბადრი ფარტენაძე
10. გელა ცხომელიძე

„გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები“:

1. ნიაზ ზოსიძე
2. ნუგზარ ფუტკარაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებად მაჟორიტარული სისტემით არჩეული არიან:

მოქალაქეთა პოლიტიკური მოძრაობა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“:

№ 79 ბათუმი – ზაზა გოგოტიშვილი
№ 80 ქედა – რევაზ არძენაძე
№ 81 ქობულეთი – ომარ ჭყონია
№ 82 შუახევი – მიხეილ მჟავანაძე
№ 84 ხულო – ზურაბ ხოზრევანიძე

ხელახალი არჩევნები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის № 83 ხელვაჩაურის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი კანდიდატები წარადგინეს შემდეგმა პარტიებმა:

- პ/გ „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია";
- პ/გ ,,გიორგი თარგამაძე - ქრისტიან დემოკრატები";
- პ/გ „ქართული დასი";

მაჟორიტარ კანდიდატებად დარეგისტრირდნენ:

- მერაბ სურმანიძე – პ/გ „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“;
- ზაზა შაშიკაძე – პ/გ „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები“;
- თამარ კვაჭანტირაძე – პ/გ „ ქართული დასი“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების, 2008 წლის 14 დეკემბრის N83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების შედეგები:

I. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა – 72 054
II. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა – 6 489
III. ბათილი საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა – 336

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრად მაჟორიტარული სისტემით არჩეულია ზაზა შაშიკაძე – პ/გ „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან -დემოკრატები“ – 63%

2012 წლის 1-ლი ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 1 აგვისტოს № 01/08/02 განკარგულებით 2012 წლის 1 ოქტომბერს დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რომელიც საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან პარალელურად გაიმართა.

I. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა	304 930
II. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა	184 310
III. ბათილი საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა	5 072
IV. საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა	178 905

2012 წლის 1-ლი ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტები:

საარჩევნო ბლოკები:
1. „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“;
2. „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“.

საარჩევნო ბლოკში „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ გაერთიანდნენ შემდეგი საარჩევნო სუბიექტები:
1. პ/გ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“;
2. პ/გ „საქართველოს კონსერვატიული პარტია“;
3. პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“;
4. პ/გ „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“;
5. პ/გ „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“;
6. პ/გ „ეროვნული ფორუმი“.

საარჩევნო ბლოკში „გიორგი თარგამაძე –ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“გაერთიანდნენ შემდეგი საარჩევნო სუბიექტები:
1. პ/გ „ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობა“;
2. პ/გ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“.

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები:
1. პ/გ „კახა კუკავა – თავისუფალი საქართველო“;
2. პ/გ „შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;
3. პ/გ „ახალი მემარჯვენეები“;
4. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“;
5. მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“.

2012 წლის 1-ლი ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია გაიარეს შემდეგმა საერთაშორისო და ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა:

1. „სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია";
2. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო";
3. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია";
4. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება";
5. „მოდუს ვივენდი".

2012 წლის 1-ლი ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგები:

№	პარტიის (ბლოკის) დასახელება	მიღებული ხმების რაოდენობა	%	მიღებული მანდატების რაოდენობა
1.	,,კახა კუკავა–თავისუფალი საქართველო“	750	0.42%	
5.	,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა–მეტი სარგებელი ხალხს“	66 206	36.94%	5
9.	მოძრაობა ,,სამართლიანი საქართველოსთვის“	457	0.25%	
10.	,,გიორგი თარგამაძე–ქრისტიან დემოკრატიული გაერთიანება“	5 053	2.82%	
24.	,,ახალი მემარჯვენეები“	993	0.55%	
38.	,,შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	2 286	1.28%	
41.	,,ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“	103 160	57.555%	10

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებად პროპორციული სისტემით აირჩიეს:

,,ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“:

1. მერაბ აბაშიძე
2. დავით ბაციკაძე
3. ავთანდილ ბერიძე
4. მედეა ვასაძე
5. სვეტლანა კუდბა
6. გიორგი მასალკინი
7. ჯემალ ფუტკარაძე
8. სულხან ღლონტი
9. ალექსანდრე ჩიტიშვილი
10. ირაკლი ჯაში

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“:

1. მურმან ბერიძე
2. ასმათ დიასამიძე
3. პეტრე ზამბახიძე
4. ეკატერინე თარგამაძე
5. რობერტ ჩხაიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებად მაჟორიტარული სისტემით აირჩიეს:

ოლქის № დასახელება	სახელი,გვარი	წარმდგენი
№ 79 ბათუმი	აკაკი ძნელაძე	,,ბიძინა ივანიშვილი–ქართული ოცნება“
№ 80 ქედა	ირაკლი ბარამიძე	,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“
№ 81 ქობულეთი	ანზორ თხილაიშვილი	,,ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“
№ 82 შუახევი	მიხეილ მჟავანაძე	,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა–მეტი სარგებელი ხალხს“
№ 83 ხელვაჩაური	თემურ კახიძე	,,ბიძინა ივანიშვილი–ქართული ოცნება“
№ 84 ხულო	თემურ ბოლქვაძე	,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“

2016 წლის 8 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 3 ივნისის № 03/06/03 განკარგულების საფუძველზე 2016 წლის 8 ოქტომბერს ჩატარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები.

2016 წლის 8 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობისთვის დარეგისტრირდა 4 საარჩევნო ბლოკი და 11 პოლიტიკური გაერთიანება.

საარჩევნო ბლოკები:

1. „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“;
2. „თოფაძე – მრეწველები, ჩვენი სამშობლო“;
3. „ჩვენები – სახალხო პარტია“;
4. „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა“;

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები:

1. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
2. პ/გ „შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;
3. პ/გ „უსუფაშვილი – რესპუბლიკელები“;
4. პ/გ „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი";
5. პ/გ „ეროვნული ფორუმი“;
6. პ/გ „ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატები“;
7. პ/გ „თამაზ მეჭიაური – ერთიანი საქართველოსთვის“;
8. პ/გ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“;
9. პ/გ „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“;
10. პ/გ „დავით თევზაძე – საქართველოს მშვიდობისათვის“;
11. პ/გ „მურმან დუმბაძე-მედეა ვასაძე – ემსახურე საქართველოს“.

2016 წლის 8 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია გაიარეს შემდეგმა ადგილობრივმა და საერთაშორისო სადამ-კვირვებლო ორგანიზაციებმა:

1. ა.(ა).ი.პ. „მშვიდობა, თანადგომა, სოლიდარობა";
2. ა.(ა).ი. პ. „რეგიონალურ კორუფციასთან ბრძოლის ცენტრი“
3. ა.(ა).ი. პ. „ახალგაზრდული ინიციატივა მომავალი საქართველოსთვის“ ;
4. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“;
5. ა.(ა).ი. პ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“;
6. „სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია";
7. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“;
8. ,,საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი" (IRI).

2016 წლის 8 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგები:

I.	ამომრჩეველთა რაოდენობა:	308 506
II.	არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა:	163 419
III.	ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა:	5 410

IV. საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა:

№	პარტიის/ ბლოკის დასახელება	მიღებული ხმების რაოდენობა	%	მიღებული მანდატების რაოდენობა
1.	„პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“	4 616	2,93 %	
3.	„ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა“	9 268	5,89 %	1
5.	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	46 628	29,62%	5
6.	„უსუფაშვილი – რესპუბლიკელები“	2 363	1,5 %	
7.	„თამაზ მეჭიაური – ერთიანი საქართველოსთვის“	348	0,22 %	
8.	„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი –საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	8 980	5,7 %	1
10.	„შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	3 834	2,44 %	
14.	„დავით თევზაძე – საქართველოს მშვიდობისათვის“	293	0,19 %	
16.	„საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“	272	0,17 %	
19.	„თოფაძე – მრეწველები, ჩვენი სამშობლო“	1 714	1,09 %	
23.	„ჩვენები – სახალხო პარტია“	354	0,22 %	
26.	„ეროვნული ფორუმი“	1 624	1,03 %	
27.	„ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატები“	4 952	3,15 %	
32.	„მურმან დუმბაძე, მედეა ვასაძე– ემსახურე საქართველოს“	1 133	0,72 %	
41.	„ქართული ოცნება– დემოკრატიული საქართველო“	71 039	45,13%	8

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებად პროპორციული სისტემით აირჩიეს:

№ 3 ,,ნინო ბურჯანაძე–დემოკრატიული მოძრაობა“:
1. გიორგი ცინცქილაძე

№ 5 ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“:
1. ლევან ვარშალომიძე.
   ადგილმონაცვლე – ასმათ დიასამიძე
2. პეტრე ზამბახიძე
3. გია აბულაძე
4. გიორგი დიასამიძე
5. ელგუჯა ბაგრატიონი

№ 8 ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“:
1. დავით თარხან-მოურავი;
   ადგილმონაცვლე - ზაზა ოქუაშვილი;
   ადგილმონაცვლე – მერაბ ბლადაძე .

№ 41 ,,ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“:
1. დავით გაბაიძე
2. ირაკლი ჭეიშვილი
3. ცოტნე ანანიძე
4. დავით თედორაძე
5. ვლადიმერ მგალობლიშვილი
6. დავით ბაციკაძე
7. ნინო ჩხეტია
8. გიორგი მანველიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 21 ოქტომბრის N45 განკარგულებით 2016 წლის 30 ოქტომბერს დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტური.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებად მაჟორიტარული სისტემით აირჩიეს:

ოლქის № დასახელება	სახელი, გვარი	წარმდგენი
№ 68 ბათუმი	ვახტანგ წულაძე	,,ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“
№ 69 ბათუმი	ილია ვერძაძე	,,ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“
№ 70 ბათუმი	ნუგზარ სურმანიძე	,,ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“
№ 71 ქობულეთი	გიორგი რომანაძე	,,ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“
№ 72 ხელვაჩაური	მერაბ კარანაძე	,,ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“
№ 73(ქედა, შუახევი, ხულო)	ხვიჩა შარაშიძე	,,ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“

2017 წლის 17 მაისს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის №2 დადგენილების თანახმად, უსკოში შეიქმნა აპარატის ინსტიტუციური განვითარების სამსახური, რომლის უფლებამოსილებად განისაზღვრა საარჩევნო ადმინისტრაციის რესურსების განვითარება, საგანმანათლებლო პროექტების შემუშავება და განხორციელება, ტრენინგებისა და კონფერენციების ჩატარება, საარჩევნო რეფორმების ხელშეწყობა, საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

თანამშრომელთა საჭიროებების კვლევა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში სტრუქტურული ცვლილების შედეგად შექმნილმა სამსახურმა უსკოში ჩაატარა თანამშრომელთა საჭიროებების კვლევა, რომლის შედეგად გამოიკვეთა თანამშრომელთა წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები.

„ტრენერთა ტრენინგი“

უმაღლეს საარჩევნო კომისიასა და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს შორის შედგა შეთანხმება. საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით სწავლების ცენტრის მიერ გადამზადდა უსკოს თანამშრომლები, ჩატარდა სამდღიანი ტრენინგკურსი „ტრენერთა ტრენინგი“. ტრენინგი მიზნად ისახავდა საარჩევნო ადმინისტრაციის მანდატის ფარგლებში სამოქალაქო საარჩევნო სასწავლო პროექტების ეფექტიანად შექმნასა და განხორციელების უზრუნველსაყოფად თანამშრომელთა გადამზადებასა და კვალიფიციურ ტრენერთა საკადრო რესურსის ფორმირებას.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

2018 წლის 2 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის



მემორანდუმი. მემორანდუმის მიზანია საარჩევნო კულტურის განვითარება, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა, საჯარო სკოლების მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ახალგაზრდა თაობის ინფორმირება.

,,ჩემი პირველი არჩევნები

უმაღლეს საარჩევნო კომისიაში ჩამოყალიბდა ტრენერთა გუნდი, რომელმაც შეიმუშავა სკოლებში განსახორციელებელი პროექტი, შეიქმნა სასწავლო-საინფორმაციო კურსი „ჩემი პირველი არჩევნები“, რომლის სამიზნე ჯგუფი სკოლის X–XI-XII კლასის მოსწავლეები არიან. აღნიშნული პროექტი ხელს უწყობს მოსწავლეებში საარჩევნო კულტურის განვითარებას, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობას, ერთი ხმის მნიშვნელობას, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ახალგაზრდა თაობის ინფორმირებულობას.

მემორანდუმით გათვალისწინებული თანამშრომლობის საფუძველზე უსკომ საჯარო სკოლებში დაიწყო პროექტის განხორციელება. 2018 წ. 10 მაისს პროექტ ,,ჩემი პირველი არჩევნების'' პრეზენტაცია გაიმართა ქალაქ ბათუმის III საჯარო სკოლაში. შეხვედრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა ინგა შამილიშვილმა და უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონიამ გახსნეს.

სასწავლო პროექტი ეტაპობრივად ხორციელდება აჭარის სკოლებში. ამ დროისთვის უსკოს ტრენერთა ჯგუფები იმყოფებოდნენ აჭარის 56 საჯარო/კერძო სკოლაში. პროექტის ფარგლებში 2000-მდე მოსწავლეს მიეწოდა არჩევნებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია და ჩაუტარდათ იმიტირებული კენჭისყრა.

სასწავლო საინფორმაციო პროექტის, „ჩემი პირველი არჩევნების“, განხორციელება გრძელდება. ამასთან, იგეგმება, ყოველ სასწავლო წელს სხვადასხვა სკოლაში გაიმართოს მსგავსი ტიპის შეხვედრები.

„ღია კარის დღე“ უსკოში

2018 წ. 7 ივნისს უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ აჭარის საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის უსკოს ადმინისტრაციულ შენობაში მოეწყო „ღია კარის დღე“, რომელშიც მონაწილეობდა სხვადასხვა სკოლის 50 მოსწავლე. მოსწავლეებს შეხვდნენ უსკოს თავმჯდომარე, კომისიის წევრები და აპარატის თანამშრომლები. მათ დაათვალიერებინეს საარჩევნო ადმინისტრაცია, დეტალურად გააცნეს უსკოს მუშაობის პრინციპები და ადმინისტრაციის საქმიანობა, ისაუბრეს არჩევნებში ახალგაზრდების აქტიური ჩართულობისა და მონაწილეობის მნიშვნელობაზე. ღონისძიების მეორე ნაწილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში გაგრძელდა. მოსწავლეებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე – დავით გაბაიძე და უმაღლესი საბჭოს წევრები შეხვდნენ.

არჩევნების საერთაშორისო დღე უსკოში

საარჩევნო ადმინისტრაციები ყოველი წლის თებერვლის პირველ ხუთშაბათს არჩევნების საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ.

2018 წლის პირველ თებერვალს უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დაიწყო და ტრადიციად იქცა არჩევნების საერთაშორისო დღის აღნიშვნა. უსკო ამ დღეს სხვადასხვა აქტივობით ხვდება.

2018 წ. უსკოს კომისიის წევრები და ადმინისტრაციის თანამშრომლები შეხვდნენ ბათუმის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს და მათ არჩევნების როლზე, თითოეული ადამიანის ჩართულობის მნიშვნელობაზე და უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ ესაუბრნენ. ჩატარდა იმიტირებული კენჭისყრაც.

2019 წლის 7 თებერვალს უსკოს თანამშრომლებმა ბათუმის ქუჩებში ჩაატარეს საინფორმაციო აქცია და მოქალაქეებს სპეციალურად არჩევნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შექმნილი საინფორმაციო ფლაერები გადასცეს. ასევე შეხვედრა გაიმართა სტუდენტებთან, ისაუბრეს არჩევნებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. შეხვედრა დისკუსიის რეჟიმში მიმდინარეობდა, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევდა, მიეღოთ პასუხი მათთვის საინტერესო კითხვებზე.

საქართველოში პირველი დემოკრატიული არჩევნების 100 წლის იუბილე

100 წლის წინ, 1919 წლის 14-16 თებერვალს, დამოუკიდებელ საქართველოში პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა.

აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით უსკომ 2019 წლის თებერვალში საიუბილეო კვირეული მოაწყო. ბათუმის კერძო სკოლების მოსწავლეებთან გაიმართა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, სადაც უსკოს თანამშრომლებმა საქართველოს დამფუძნებელთა კრების არჩევნების მნიშვნელობასა და არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებაზე ისაუბრეს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სტრატეგიული გეგმა

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება, თავისუფალი და საყოველთაო არჩევნების ჩატარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საარჩევნო ადმინისტრაციის გამართულ მუშაობაზე. აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისია გეგმავს, კიდევ უფრო სრულყოფილი სერვისი შესთავაზოს ამომრჩეველს და სტრატეგიული გეგმით განსაზღვროს პრიორიტეტები, რათა 2020 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგ არჩევნებს სათანადოდ მომზადებული შეხვდეს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2019 წლის № 6 ბრძანების საფუძველზე უსკოში შეიქმნა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი.

გეგმით განისაზღვრა ორგანიზაციის სტრატეგიული საქმიანობები, რომლებიც გაიწერა სტრატეგიული დოკუმენტის ტექსტში.

სამუშაო შეხვედრებისა და განხილვების შედეგად სამუშაო ჯგუფმა მოამზადა სტრატეგიული გეგმის პროექტი, რომელიც არის ორგანიზაციის მნიშვნელოვანი დოკუმენტი. იგი ხელს შეუწყობს ჩართული მხარეების კომუნიკაციას და გააუმჯობესებს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობასა და საარჩევნო პროცესს.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2019-2020 წლების სტრატეგიული გეგმა დამტკიცდა 2019 წლის 22 მაისს უმაღლესი საარჩევნო კომისიის № 1 განკარგულებით.

სტრატეგიული გეგმის შესაბამისად შედგა ორგანიზაციის სამოქმედო გეგმა, რომლითაც განისაზღვრა უსკოს საქმიანობა 2019 წელს. სტრატეგიული გეგმა ხელს შეუწყობს უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ დასახული ღონისძიებების წარმატებით განხორციელებას.

საერთაშორისო ურთიერთობის ფორმირება

ბელგია

2019 წლის 24-27 მაისს ბელგიის შინაგან საქმეთა ფედერალური სამსახურმა უსკოს თანამშრომლები მიიწვია ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში. ვიზიტის მიზანი იყო ევროპარლამენტის, ფედერალურ და ადგილობრივ არჩევნებზე დაკვირვება, ევროპული ინსტიტუციების გამოცდილების გაზიარება, საარჩევნო პროცესის დახვეწა და ორგანიზება.

გერმანია

2019 წლის 1 სექტემბერს გერმანიაში გაიმართა ბრანდერბურგის ფედერალური მიწის საკანონმდებლო ორგანოს, ლანდტაგის არჩევნები. ლანდტაგის, პრეზიდენტის მიწვევით უსკოს თანამშრომლები ბრანდერბურგის საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებს დააკვირდნენ.

პოლონეთი

2019 წლის 13 ოქტომბერს აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (უსკო) წარმომადგენლები პოლონეთის რესპუბლიკაში გამართულ საპარლამენტო (სეიმისა და სენატის) არჩევნებს დააკვირდნენ.

ფოტოგალერეა

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის დეპუტატების შეხვედრა. 2016 წ.

უსკოს თანამშრომლებისა და დემოკრატიისა და საარჩევნო ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტის(IDEA) წარმომადგენლის შეხვედრა. 2018 წ.

IRI-ს დამკვირვებლები უსკოში. 2016 წ.

სასწავლო საინფორმაციო პროექტი „ჩემი პირველი არჩევნები“ აჭარის სკოლებში

სასწავლო საინფორმაციო პროექტი „ჩემი პირველი არჩევნები“ აჭარის სკოლებში

სტუდენტები უსკოში

2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შესახებ უსკოს თანამშრომლების საინფორმაციო კამპანია მოსახლეობასთან

თანამშრომელთა გადამზადება

თანამშრომელთა გადამზადება

პირველი დამოუკიდებელი არჩევნების 100 წლის იუბილე

სამუშაო შეხვედრა საარჩევნო ტექნოლოგიების შესახებ – 2018 წ.


უსკო